00
1912/4



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფეკლი-კვირეული ჟურნალი

№ 15

ფასი 10 ქაპ.

ვერის აბანო

ვისაც სურს სუფთად და ჰიგიენურად ბანება, ვთხოვთ მოგრძანდეს:

Верійскій спускъ № 7

მშვენიერად მოწყობილ, ელექტრონით განათებულს და ყველასთვის ხელმისაწდომ აბანოში:

ფ ა ს ე ბ ი: სახალხო აბანო, ცივი და ცხელი დუშებით 20 კ. სათავად-აზნაურო—30 კ. ცალკე კაბინეტები ვანებით და დუშებით—60 კ.—1 მ. 50-მდის.

გამოზომილ ტემპერატურის ცალკე ვანები—30 კ.

აბანო ღიაა დილის ექვს საათიდან ღამის 12 საათამდის. ქვირაობით—ნაშუადღევის 2 საათიდან.

ზეგოვანლებმა ზაქარია აბრამიშვილი.

1/12 გვერდისა 1 მან.

1/6—2 მან.

1/4—2 მ. 75 კ.

1/2—5 მან.

მთელი გვერდი ერთი თუმანი

მეორე გვერდზედ ყველა ფასები ნახევრდება

№ 15

23 ქრისტიშობისთ. 1912

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ ნომერთან იგზავნება ფულის გადმოსაცემი ბლანკები. ვისაც 1913 წლ. არ გამოუწერია ჟურნალი „კ ლ დ ე“, იანვრიდან ალარ გაეგზავნება.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲔᲙᲝᲜᲝ-
ᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

შემდეგი № გამოვა 1 იანვარს.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

მიიღება ხელის მოწერა

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠ

ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲙᲚᲓᲔ“-ᲖᲔᲓ.

1913 წლის იანვრიდან ჟურნალი უფრო ფართო პროგრამით გამოიცემა, ჩაერთობა ილუსტრაციები, კარიკატურები და სხ. მოწვეულ არიან ახალი თანამშრომელნი, როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთსა და საზღვარ გარედან.

ᲤᲐᲡᲘ:

1 წლ.	6 თვ.	3 თვ	1 თვ.	ცალკე №
5 მან.	2 მ.75	1 მ.50	50 კ.	10
4 მან.	2.50 კ	1 მ.	40 კ	10

სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს, სტუდენტებს და კოოპერატიულ დაწესებულებათ დაეთმობათ

საზღვარ გარედ ყველა ფასებს ემატებათ თვეში 5 შაური გადასაგზავნი.

განცხადების ფასი: ყდაზედ, როგორც აღნაშნულია; ტექსტის სხვა და სხვა ადგილას— კანტორასთან შეთანხმებით.

სარჩევი: ხაზინა და ქართველ ხალხის მამული.—**თევ. ლლონტისა.** კულტურული საქმიანობა სოფლად.—**მროველისა.** ლექსი. — **ი. მჭედლიშვილისა.** „სიყვარული“.—**ეკალისა.** კვირიდან-კვირამდე.—გურჯაანის წვრილი კრედიტი.— **ძევერელისა.** მეგენახეთა საზოგადოება „კახეთი“.—**კოოპერატორისა.** „ფილოქსერა და მასთან ბრძოლა.—**მეურნესი.** ეკონომიის ცხოვრებიდან.—**გ. ნამორაძისა.** უცნაური ქვეყნები. ნარევი.

ხაზინა და ქართველი ხალხის მამული

I.

მთელი ქართული პრესა კარგა ხანია მამულის საკითხს დიდის ყურადღებით ეკიდება, ყოველ ახალ აზრსა და მოვლენას დიდის ინტერესით ეხება და ცდილობს დაინახოს ჩვენი ხალხის ნივთიერ სიკეთეს ნამდვილი მიზეზები.

მართლა, რა არის მიზეზი, რომ ჩვენი ხალხი საშინელ უმამულობის კლანჭებშია მომწყვდეული და არ იცის როგორ დააღწიოს თავი საშინელ სიღატაკეს? მართლა, როგორ უნდა გამოირკვეს სინამდვილე, როცა ერთნი—მაგალითად, ტიმოშკინები და მთავრობის მოხელენი გვიმტკიცებენ: კავკასიაში დიდძალი ადგილებია თავისუფალი—რაზედაც კეთილზნეობიანი რუსის ხალხი უნდა იქმნას დასახლებული—ან მეორეს მხრივ—როცა ქართველი დეპუტატები—ჩხეიძე—გეგეჭკორი და მთელი ჩვენი ადგილობრივი პრესა შეურყეველ სტატისტიკურ ცნობებით გვიმტკიცებენ, რომ კავკასიაში თავისუფალი მიწა-ადგილი აღარ მოიპოვება, რომ შეუძლებელია ჩვენში „ხოდოკები“-ს გამრავლება, ან—რასაც ბ. სეგალი გვიმტკიცებდა—შეუძლებელია გლეხკაცის მიწათმფლობელობის გაფართოვება—რადგანაც მიწა-ადგილი სრულიად აღარ არის თავისუფალი?

მართლა, რა მოხდა ამ უკანასკნელ დროს ჩვენში ისეთი, რომ ცხოვრება პირდაპირ შეუძლებელი გახდა, მიწის სიკეთემ აგერ-აგერ გაანადგუროს მთელი იმედი და სასოება ხალხისა? ნუ თუ ჩვენში ისე განვითარდა კაპიტალისტური ცხოვრება თავის ცნობილ ტენდენციით: მამულის კონცენტრაციით და ხალხის გაბოგანოებით, რომ შეუძლებელია ხალხის უბედურების მიზეზების სხვაგან ალმოჩენა?—ან მხოლოდ ამ გარემოებაში ვეძიოთ მიზეზი სიდუხჭირისა? ან და შეიძლება ჩვენი ხალხი ტომას მალტუსის გეომეტრიულ პროგრესიით გამრავლდა და ამან გამოიწვია მიწის სიკეთე?

ჩვენ არ უარვყოფთ იმ ჭეშმარიტებას, რომ საქართველოში კაპიტალისტური წეს-წყობილება ვითარდება, ვეთანხმებით ბ. ვინმე სოფლელს, რომელიც ეხება „საკუთრების მობილიზაციას ქართლში“ [1]) და ალიარებს რომ., მაგ , სკრის ხეობაში ქართველმა თავადებმა—შალიკაშვილებმა დაჰკარგეს დიდძალი მამული, რომ ამ მამულის დიდი წილი ქართველ კათოლიკეთა და ფრიდონოვ-ავსარქისოვის ხელში გადავიდა, რომლებმაც „სოფლად დიდი ფული დაატრიალეს, სამუშაო გააჩინეს და მეხილეობის კულტურა გააჩალეს“, ე. ი. სოფლად ფეოდალურ საკუთრების, დემობილიზაცია მოხდა კაპიტალისტურ მობილიზაციის სასარგებლოდ. რამდენადმე ვეთანხმებით აგრეთვე კალენდრებისა და სტატისტიკურ გამოცემათა ცნობებს, რომლითაც აბსოლიუტურად მრავლდება ჩვენი ხალხი, რაიცა უეჭველ გავლენას ახდენს მიწა-ადგილის პარცელიაციაში, მაგრამ, ნუ თუ ეს ძალები მთავარნი და უაღრესნი არიან ჩვენი ხალხის მიწა-ადგილის შემცირების საქმეში? ნუ თუ მხოლოდ კაპიტალიზმმა და ხალხის გამრავლებამ გამოიწვია აგეთი სიკეთე მიწა ადგილისა? მაგრამ მაშინ რით ავხსნათ ის გარემოება, რომ საქართველოში ჯერაც მრავალი კუთხეებია, სადაც კაპიტალისკურ კულტურის შთანასახია მხოლოდ, რომ მოიპოება სოფლები, სადაც, მაგ. თიანეთის მაზრაში, სოფელ შატილში ბ. დეგოთელის ცნობით „მთელ სოფელში ლამპა არავის მოეპოვება. ანთებენ კვარს, რომელიც ძალზედ ჰკომლავს და მჭვარტლითა და ბურით უვსებს ცხვირპირს, ისედაც ტურტლიან ხევსურებს“ [2]), ხოლო მეორე მხრივ კი აუწერელი სილარიბე, მწირი ადგილები, სახნავ-სათესი მამულების სიკეთე... ან ის გარემოება, რომ მთელ საქართველოში—ბედნიერ გამონაკლით—ჯერაც არ მოიპოება კაპიტალისტურ წესით შემკული სამეურნეო იარაღები, რომ წყლის ძალა და ელექტრონი, ქიმია და გაზი სრულებით გამოუყენებელია, რომ მხოლოდ დღეს—მაგალითად, ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ინსტრუქტორები პრაქტიკით ეწევიან პროპაგანდას,

---

[1]) იხ. წერილი ბ. ვინმე სოფლელისა „კლდე“-ში № 13.

[2]) „კლდე“ იგივე ნომერი—კორესპონდენცია.

რომ ხალხს შეაყვარონ და შეათვისონ ძალა გაუმჯობესებულ იარაღებისა.

არა, კაპიტალიზმი არაა მიზეზი ჩვენი მწარმოებელ ხალხის უმიწა-წყლობისა, მარტო კაპიტალიზმი ვერ აგვიხსნის ჩვენი ცხოვრების საშინელ ვითარებას... და ვერც მცხოვრებთა გამრავლება გამოხატავს სინამდვილეს, რადგანაც ამ უკანასკნელ ხანში ხალხი იმდენად არ გამრავლებულა ჩვენში, რომ უმიწა-წყლობა დაემკვიდრებინოს. საქართველოს ისტორიას ახსოვს ის დრო, როდესაც ქართველ ხალხის რაოდენობა გაცილებით მეტი იყო ვინემ დღესაა; ჩვენ კარგად ვიცით, რომ შაჰ-აბაზისა თუ ალამაჰმად-ხანისა და ყამიანობა—შიმშილის შემდეგ, ქართველი ხალხი სისხლიდან დაიცალა... მაგრამ მაშინ, როდესაც მეტი იყო რიცხვით და ცხოვრება უფრო სადა და უფერული,—მიწის სივიწროვე არ იყო ისე გაალმასებული, როგორც დღეს გახლავს.

მაშ სად უნდა ვეძიოთ მიზეზი ჩვენი ხალხის მამულის შემცირებისა? სადა და რამ შთანთქა ჩვენი ხალხის მამულ-დედული?

მე სრულებით ვეთანხმები რეაქციონურ ტიმოშკინ-ლისიჩკინებს. „ხოდოკები"-ს მებაირაღტრებს, რომ კავკასიაში სათანადო რაოდენობით მოიპოვება მიწა-ადგილები, რომ რადიკალური და საჭირო აგრარული რეფორმა პირდაპირ უზრუნველჰყოფდა ჩვენ მწარმოებელ ძალებს, მაგრამ სადაა ეს მიწები? ვის ხელში და ვის დაუსაკუთრებია?

მე მაგონდება სულ ორიოდე წლის წინად გაზეთ „დროებაში" წარმოებული გაწიწმატებული აგიტაცია ხოდოკების წინააღმდეგ. ვის დაავიწყდება ბ. ბ. სიტყვას, გ. ქ. და სხვა დაუვიწყარი წერილები ეროვნულ ბანკების დასაარსებლად, რომ ეროვნულ ბანკების საშუალებით ქართველების ხელში შეეგროვებინათ ქართველისავე მიწა-ადგილი; რომ უცხო ტომის ელემენტებისაგან შეესყიდათ ჩვენი ტომის წრეების მიერ ერთხელ გაყიდული მიწა-ადგილები... დიაღ, მე ნათლად მაგონდება ყოველივე ეს და მახსენებს დაჩაგრულ-დაბეჩავებულ პოლონელების ბრძოლას პრუსიის წინააღმდეგ პოზნანის მიდამოებში სწორედ ასე, პოლონელები ეროვნულ ბანკების საშუალებით სასტიკ ომს უცხადებდნენ პრუსიის ყოვლად შეუწყნარებელ და ზოოლოგიურ ინსტიქტებით გამსჭვალულ ნაციონალისტებს, რომელნიც მთელ პოლონელების და სლავიანების სამეფოს გაგერმანელებას ემუქრებოდნენ. დიაღ, მაგონდება ყოველივე ესა და ვით მოჩვენება წინ გვიდგება ანოლოგიური ტენდენცია რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკისა ჩვენი ქვეყნის მიმართ. მაგრამ რას ვხედავთ! განა შესაწყნარებელია რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკის პრუსიულ პოლიტიკის დაპირისპირება ან გათანაბრება? განა ჩვენი პუბლიცისტი ბ. ნოე ჟორდანია პათოსითა და აღფრთოვანებით არ აღნუსხავდა: დაუმტკიცებელია, ვითომც რუსეთის სახელმწიფო პრუსიულ პოლიტიკას ანვითარებდა საქართველოს მიმართ. ჰო, სრულ სიმართლეს ღაღადებს ბ. ჟორდანია. მთელი არქივები რომ გადაქექოთ რუსეთის აუარებელ კანცელიარებისა, მთელი კორიანტელი რომ დააყენოთ ბიუროკრატიულ ქალალდებზედ, თქვენ ვერ დაასახელებთ ისეთ სიტყვას, რომელსაც რიხითა და აღტაცებით ამბობდა რკინის კანცლერი, შესანიშნავი პოლიტიკანი—ბისმარკი: „პრუსიისა და პოლონეთის მიდამოების გაგერმანელებაში—ამბობდა ბისმარკი—მონტეკარლო დიდ როლს ითამაშებს. პოლონელებს ფლანგვა და ფუფუნება უყვართ, შეეცადეთ გააყიდინოთ მათ თავისი ავლა-დიდება და თქვენ დაინახავთ რომ საფრანგეთსა და იტალიას შესანიშნავი კურორტები პოლიაკებით გაივსებიან და მაშინ თქვენ მიიღებთ პროლეტარებს და საქმეც გაკეთებული იქნება". [1]) ჭეშმარიტად აგეთ აშკარა თავხედობას არ აქვს ალაგი ჩვენს მალალ სფერებში, თუ მთავარ-მართებელ გოლიცინის ზოგიერთ სიტყვებს დავივიწყებთ ხოლმე, აშკარად და გადაჭრით რუსეთის მთავრობას არასოდეს არ უქადაგნია და არ გადაუდვია თანხა ინოროდცების მიწების შესასყიდათ უმალლეს სახელმწიფოებრივ ინტერესების სასარგებლოდ, როგორც პრუსიის უტიფარი მთავრობა Ansiedelunysko mmission—ის საშუალებით, რომელსაც 1902 წ. 250 მილიონი გადასცა მიწების შესასყიდათ. მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ზოგიერთ მალულ პოლიტიკას და ოპორტუნისტულ ტაქტიკას გაცილებით სჯობიან გარკვეული და ცხადი პოლიტიკა თუნდ პრუსიელ გრენადერებისა. და მართლაც, გაიხსენეთ იმავ პოლონეთის ბედი რუსეთის ორჭოფულ და „ლიბერალურ" პოლიტიკის შემდეგ, დააკვირდით პოლონელების ცხოვრებას, მათ ქალაქებს, მათ სოფლებს, მათ სოციალ-ეკონომიურ კულტურას და თქვენ დარწმუნდებით, რომ რუსეთის სახელმწიფოს ორჭოფულ და შედარებით ლოიალურ პოლიტიკას გაცილებით მეტი ზიანი და მავნებლობა მოუტანია პოლონეთისათვის, ვინემ პრუსიის მოქმედებას. ჩვენ

---

[1]) „Польскій вопросъ" въ газетѣ „Русь" ტ. I გვ. 111.

ვერ გავჩერდებით დაწვრილებით ამ საგანზე, დეე თვით პოლონელებმა იგრძნონ და ილაპარაკონ ამ ჭეშმარიტებაზე. პოლონეთის ნაციონალური პარტია ეხება ამავე საკითხს, ესე იგი იკვლევს პრუსიისა და რუსეთის პოლიტიკის გავლენას პოლონეთზე და მას შემდეგ, რაც კონკრეტული მასალებით გვისურათებს ყოველ მხრივ ჩამორჩენილობას რუსეთის პოლონეთისას, როდესაც ეს პარტია ხედავს განსაკუთრებულ სიბინძურეს ქალაქებისას, გაუნათლებლობას ხალხისას, საერთო სიღატაკეს და საოცარ უკულტურობას, შემდეგ ადარებს პრუსიის პოლიტიკის ქვეშ მყოფ მიდამოს და ამბობს: „შესადარებლად საკმარისია მხოლოდ პრუსიის საზღვარი. რომ შეადაროთ საზღვარს იქითა ქალაქები, სოფლები, მათი მოწყობილობა—მორთულობა, აქაურობისას—მყისვე რჩებით ყოველად უნუგეშო მდგომარეობაში. იქით ქვის შენობები, გზა ტკეცილები, „ტროტუარები“, საერთოდ სისუფთავე და წესიერება; აქეთ კი—სილარიბე, სიბინძურე, ხის შენობები და უწესობა... [1])

ამნაირად, რუსეთის მთავრობის ორჭოფულმა და ვითომ ლოიალურმა პოლიტიკამ, გაცილებით უარესი გავლენა იქონია პოლონეთის მთელ ცხოვრებაზედ, ვიდრე პრუსიის აშკარად გულშემზარავ საქმეებმა. სხვა და სხვა გზით—მხოლოდ ერთ და იმავე საქმისთვის—განაპირა ქვეყნების მამულის ხელში ჩასაგდებად და ზედ თავის ტომის ხალხის დასასახლებლად – ქედუხრელად მუშაობდნენ და მუშაობენ გერმანიაც და რუსეთიც. პრუსიული პოლიტიკა რუსეთისას არაფრით აჭარბებს, პირიქით, რუსეთის პოლიტიკა უფრო ძლიერი და წელში გამწყვეტია, ვინემ პრუსიისა.

და აი ბატონებო, ასეთ პოლიტიკით, ასეთ ინტერესით მუშაობდა რუსეთი ჩვენშიც. როგორც გერმანელ გაკატისტების დევიზი იხატება „ausrotten“-ში, სწორედ ესევე „ausrotten“ – არის ალფა და ომეგა რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკისა ჩვენში.

და ამ პოლიტიკამ ერთიანად გადამჭრელი გავლენა იქონია ჩვენს მამულზე. რომ სიტყვას საბუთები ამაგრებდეს, რომ დებულება კლდის სიმაგრეთი იქმნას გამოკვანთული, ჩვენ გადავიდეთ საქართველოს ცხოვრებაზე, ჩვენი მამულის სვე-ბედზე, რომელიც მთავრობის პოლიტიკამ დღევანდელ დაქვეითებამდე ჩიმოიყვანა.

თევდ. ღლონტი.

(შემდეგი იქნება)

კულტურული საქმიანობა სოფლად

V

სოფლის სამკითხველოები.

თუ არა ვცდები, სამკითხველოების დაარსება ჩვენ სოფლებში პირველ დაწყებით სკოლებზედ ადრე დაიწყო; თუ ეს მოსაზრება მართალი არ არი საერთოდ, უმრავლეს შემთხვევაში მაინც, ეს მოსაზრება ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც დღესაც ხშირია ისეთი მაგალითი, როცა სოფელში არ არის პირველ დაწყებითი სკოლა და სამკითხველო კი არსდება; ეს კიდევ არაფერი, არის შემთხვევებიც სამკითხველოს დაარსებისა იმ გვარ სოფლებში, საცა უბრალო წერა-კითხვის მცოდნეც კი არ მოიპოვება. უმთავრესი მიზეზი ასეთი არა ნორმალობისა, ანუ უკეთ ვსთქვათ, სიმახინჯისა უნდა ვეძიოთ წარსულში. წარსულ რეაციონურ ხანაში, როცა მე-1870 წლებიდან დაწყებული 1904 წ. საზოგადოთ კერძო ინიციატივა რუსეთის სახელმწიფოში სრულიად შებოჭილი იყო და ცხოველ-მომქმედ ძალებს გასავალი არსად ჰქონდათ, ეს ძალები იძულებულნი იყვნენ ყველაფრით, რაზედაც კი იმ დროს შეეძლოთ და ნება ჰქონდათ ენერგია საზოგადო საქმეზედ დაეხარჯათ—გამოეყენებინათ, დიდი სიამოვნებით ჰკიდებდნენ ხელს, იმ შემთხვევაშიც კი, თუნდაც დიდი იმედიც არ ჰქონოდათ მათ მიერ დაწყებულ საქმის თვალსაჩინო სარგებლობისა ეს ითქმის საერთოდ ყველა იმ დროს საზოგადო კულტურულ საქმიანობაზედ და მათ შორის სამკითხველოების დაარსებაზედაც.

ბევრს კარგად ეხსომება თუ რა სიძნელეს წარმოადგენდა იმ დროს მხოლოდ ნებართვის აღება; რაც შეეხება სამკითხველოსათვის წიგნების შეძენას, ეს ხომ ათასვვარ ცენზურაში უნდა გატარებულიყო, ვიდრე სამკითხველოს მიაღწევდა და ამიტომ წინად ჩვენს სამკითხველოებში შეხვდებოდით უფრო სხვა

---

[1]) Польскій вопросъ—„Городское хозяйство въ царствѣ Польскомъ“ зз. 408.

და სხვა სახელმძღვანელოებს და ამ უკანასკნელთა შორის ლათინურ-ბერძნულსაც, ვიდრე სოფლისთვის გამოსადეგ წიგნებს; ვისაგანმე გაბედვა და წაკითხვა ამ დროს არა ცენზურისაგან საგანგებოდ შერჩეულ წიგნებისა ხალხისთვის, ხომ სასტიკად იყო აკრძალული; მიუხედავად ამისა, მაშინდელ მოთავეთაგან ხშირი იყო ცდა წიგნების კითხვისა ხალხისათვის, რასაც შედეგად მოჰყვებოდა ხოლმე სამკითხველოების მიკეტვა და ურჩ მოთავეს, თუ იგი სოფლის მასწავლებელი იყო, სამსახურიდან დათხოვნა და სხვისა კი სამართალში მიცემა.

დღეს, ცოტად თუ ბევრად, ობიექტიური პირობები შეიცვალა, მაგრამ სამკითხველოების დაარსებელთ თითქოს არ უგრძვნიათ იგი და არსებითად ძველებურის მეტოდით განაგრძობენ ამ ნიადაგზედ მოღვაწეობას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეხლა შედარებით უფრო მეტი რიცხვი იხსნება სამკითხველოებისა და ეს გახსნილი სამკითხველოები იხურება არა პოლიციურის მიზეზით, როგორც ეს წინად იყო, არამედ სულ სხვა გარემოებისაგან, რის ახსნას მოთავენი ან სრულად არ სცდილობენ, ან და თავის ახსნაში შორს ვერ მიდიან და ასახელებენ რომელიმე მახლობელ მიზეზს.

თუ რამდენად გახშირებულია დღეს სოფლად სამკითხველოების დაარსება, ამისთვის საკმარისია გადაათვალიეროს კაცმა ჩვენი გაზეთები, განსაკუთრებით ზაფხულობით, როცა სოფლად მოდებული ახალგაზრდობა, მომეტებულ შემთხვევაში ამ ნიადაგზედ მოქმედებაში იჩენს თავს. თუ კაცი მარტო სამკითხველოების სიმრავლით იხელმძღვანელებს, შეუძლიან სთქვას თამამად: „აშენდა საქართველოო“ და ჩვენი ქვეყანა შეადაროს დასავლეთ ევროპას, მაგრამ ამასთანავე თუ კაცი მოისურვებს საქმეში პატარა ჩაკვირებას, მაშინ კი სულ სხვა სურათი გადაეშლება. ჯერ უპირველეს ყოვლისა საქმეში ჩახედულისთვის ცხადი შეიქნება რომ სამკითხველოები, როგორც ხშირად და ადვილათ არსდებიან, ისე საჩქაროდ და ადვილად ისპობიან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საკმარისია გადაათვალიეროთ რამდენიმე წლის წ. კ. გ. ს. ანგარიშები, საცა წინა წლებში დაარსებული სამკითხველოები შემდეგ წიგნებში აღარა სჩანს. თუ კაცი მოისურვებს მიზეზების გაგებას, მოთავენი გეტყვიან და მიზეზად უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ საწევრო გადასახადის შემოუტანელობას დაასახელებენ, რასაც ხსნიან წევრთა უგულობით დაწესებულებისადმი, რისთვისაც მეთაურნი მათ უგზავნიან მრავალ საყვედურს.

და ავიწყდებათ რომ, რა რიგათაც დღეს ჩვენში არსდება სამკითხველოები, მეტის მოლოდინიც არ შეიძლება წევრებისაგან. სრულიად ბუნებრივია მათი მხრიდან, რომ თვითეული მათგანი ერთხელ ან ორჯელ შემოიტანს საწევრო ფულს და მერე მიივიწყებს თვით სამკითხველოს არსებობასას კი. მართლაც, გავიხსენოთ რა პირობებში არსდება მომეტებულ შემთხვევაში ჩვენი სოფლის სამკითხველოები: ზაფხულობით დასასვენებლად სოფლად თავმოყრილ ინტელიგენციას, განსაკუთრებით ისეთ სოფელში, საცა არავითარი გასართობი არ არსებობს, გირთობა სჭირია და აი, ვისიმე ინიციატივით იწყება კრებები. ილებენ ნებართვას, შემდეგ ყველა დამსწრე ინტელიგენტი იხდის საწევრო ფულს, მომეტებულ შემთხვევაში არა ნაკლებ 3 მანეთისა, რითაც შეიძენენ წიგნებისთვის შესანახს, დაიქირავებენ ბინას, ან და მუქთად დაუთმობს ვინმე და ან თუ დიდი საზოგადოებაა შეიძლება საკუთარი შენობაც ააშენოს, რაიმე წარმოდგენების და გასართობების შემოსავლიდან. რაც შეეხება თვით წიგნებს, შინაარსს ბიბლიოთეკებისას, ამას თითქმის არავითარი ყურადღება არა აქვს მიქცეული; ამისათვის არც იმდენი ფული აქვთ ხოლმე, და თუ აქვთ მომეტებულ წილად ვერ შესძლებენ ხოლმე წიგნების შერჩევას, რადგანაც არ არსებობს დღევანდლამდის არავითარი სია სოფლის სამკითხველოებისთვის შესაფერ წიგნებისა, რაშიაც დიდი დანაშაულობა მიუძღვის ქ. შ. წ. კ. გ. ს., და ყველა მოთავესაგან კი ვერ მოვითხოვთ, რომ შესძლოს შესაფერი წიგნების შეძენა.

უფრო კი საწევრო ფულიდან იწერენ ჟურნალ-გაზეთებს, წიგნები კი გროვდება წევრთა შორის, რომელნიც ხშირად სწირავენ გადასაყრელ წიგნებს და ამით აიხსნება, რომ ჩვენ სოფლის სამკითხველოში შეხვდებით ფრანგულ-გერმანულ სახელმძღვანელოებს და ძნელად კი სოფლისთვის შესაფერ წიგნებს. ერთი სიტყვით, ნებართვის ალება, საწევრო ფულის შეგროვება, ჟურნალ-გაზეთების გამოწერა, და უვარგის წიგნების მოგროვება არსებითად ისე, როგორც ძველად—რეაქციონურ ხანაში—აი მთლად ის პროგრამა, რომელსაც ასრულებენ სამკითხველოების ინიციატორები. რაც შეეხება იმას, არის თუ არა სამკითხველოს დასაარსებლად ნიადაგი, ე. ი. შეუძლიან თუ არა ისარგებლოს იმ ხალხმა—გლეხობამ, რომლისთვისაც არსდება სამკითხველო, ამაზედ ძალიან ნაკლებ ფიქრობენ. თუ სურთ მოთავეთ, მარტო თავის გასართობად არ დააარსონ სა-

მკითხველო, უნდა ეცადონ შეჰქმნან ისეთი პირობები, რომ ხალხიც დაინტერესონ. ამისთვის უნდა აუცილებლად გაუჩინონ სამკითხველოს მუდმივი პატრონი, რომელიც თვით წაუკითხავს ხალხსა მოსულ ჟ--გაზეთებს და წიგნებს. და ამგვარად ინტერესს გაუღვიძებს მათ. სამიითხველოს ამგვარ ხელმძღვანელად კარგი იქნება დაინიშნოს ისეთი კაცი, რომელიც მასწავლებლობასაც გასწევს, განსაკუთრებით იქ, საცა სკოლა არ არის და თუ ამისთვის სახსარი არ შესწევთ, მაშინ ადგილობრივ მცხოვრებთაგან ჭართულად კარგად წამკითხავ წიგნებისა, მხოლოდ საჭიროა მოთავეთაგან მას ხელმძღვმნელობა ჰქონდეს. ასეთი პირი ნაკლებ ფასშიც იშოვება, ასე 5 მან. თვეში და როგორც პრაქტიკამ გვაჩვენა, კარგი შედეგებიც მოაქვს. [1]) რაკი ხალხი დაინტერესდება, მაშინ მოსალოდნელია, სამკითხველოს ნივთიერი მხარეც უზრუნველ შეიქნეს, რადგანაც, მაშინ დაინტერესებულნი თვით გახდებიან წევრად და ესენი კი ისე არ დაივიწყებენ მას, როგორც საზამთროდ წასული ინტელიგენცია, რომელიც მხოლოდ ქველ-მოქმედობს და თავს ირთობს ზაფხულობით. ერთი სიტყვით, ვისაც გულითა სურს სოფლად სამკითხველოს დაარსებით სასარგებლო საქმის გაკეთება, არას დროს არ უნდა დაივიწყოს, რომ ჩვენი სოფელი ინგლისის, შვეიცარიის და საერთოდ დასავლეთ ევროპის სოფელი არ არის, საცა სამკითხველოებისთვის თავის თავად მომზადებულია ნიადაგი და საკმარისია დაარსება სამკითხველოსი, რომ უკვე სასარგებლო საქმედ გადიქცეს. ჩვენ სოფელში სამკითხველოს დაარსებასთან ერთად უნდა ყოვლის უპირველესად მოთავეთ იზრუნონ ხალხის დასაინტერესებელ საშუალებაზედ, იქნება იგი, სამკითხველოს შესაფერ გამგის დანიშვნით თუ საკვირაო სასწავლებლის დაარსებით, რომელსაც აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ, ეს სულ ერთია. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამკითხველოს დაარსება მხოლოდ თავის გართობა იქნება და სხვა არაფერი, მით უმეტეს, რომ დღეს დამაარსებელთ ბოდიში აღარ მოეხდებათ ობიექტიურ პირობებით, რადგანაც იგი, ცოტად თუ ბევრად, უკეთესია და ყოველ შემთხვევაში ნებას აძლევს თავი დააღწიონ ძველს შაბლონურ გზას და საქმე უფრო რაციონალურად დააყენონ.

მროველი.

რა ვართ ან რას ვემსახურით

რაც ქვეყანა გაჩენილა,
უბედურნი ორჯელ ვიშვით:
ჯერ ღმერთმა გვშვა, მერმე ქრისტემ,
მაგრამ რისთვის? არ კი ვიცით.
ვიშვით და ვერ გაგვიგია,
რა ვართ ან რას ვესალმუნოთ,
რომელ კერპებს ვცეთ თაყვანი,
ან რომელ ღმერთს ვემსახუროთ.
ვამაყობთ და ვმედიდურობთ,
თავი მოგვაქვს უკვდავათა,
ცა ქუდათ არ მიგვაჩნია,
დედამიწა ქალამნათა.

* *
*

ხელსა ვაფარებთ ღვთის სამყაროს: მზესა, განთიადს,
თითქოს არას დროს მოვწყდებოდეთ ქვეყანას დიადს.
თითქო უძლურებს არ გველოდეს სამარე ცივი,

[1]) მაგ. ს. გურჯაანში, საცა სამკითხველოსთვის საკუთარი შენობაა, წიგნებიც შესაფერია შეძენილი, ამ გვარის კაცის დანიშვნით სურათი მთლად შეიცვალა: თუ წინად გლეხობა გაურბოდა, ეხლა დიდის სიამოვნებით დაიარება განსაკუთრებით მოსწავლენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც ერთგვარად დაგვეხშობა ცხოველი სხივი...
მტვრად იქცა დიდი ალექსანდრე მაკედონელი,
ბოლო მოელო თვით ამირანს ბრძოლად ატეხილს,
უკვალოდ გაჰყვა სიკვდილისა სასტიკ ქარტეხილს;
და ჩვენ კი სუსტნი — წუთის ძენი, ისე ვიქცევით,
თითქო ჩვენ ვიყვნეთ ქვეყნის ღმერთნი ნიჭით და ძლევით.

* *
*

წუთიერია ჩვენი ყოფნა ამ ქვეყანაზე,
ვით ნელი ელვა გამომკრთალი დღის მღვრიე ცაზე,
მაგრამ ამ წუთსაც არ ვსარგებლობთ რომ ვიყვნეთ ტკბილად
და ათასგვარი სივაგლახე არ გვქონდეს წილად.
რას არ ვკადრულობთ? რა განზრახვა გულს არ გვეგზნება,
ერთმანეთისთვის თვით ჰაერიც არ გვემეტება!
ღმერთსა ვჩემულობთ, უსუსურებს ფეხითა ვთელავთ,
მასხარად ვიგდებთ ერთმანეთსა, შურითა ვღელავთ;
ალარა გვწამს-რა, ბოროტებას აშკარად ვბედავთ
და, ვით ციკლოპი, მოძმეთათვის ბორკილებს ვჭედავთ.
ჩვენი ცხოვრება ამგვარ ყოფნის წყვდიადში ჰქრება
და უმწე ნაშთებს დაჰხარხარებს ავსულთა კრება.
ჩვენ კი უძლურნი—წუთიერნი ისე ვიქცევით,
თითქო ჩვენ ვიყვნეთ ქვეყნად ღმერთნი ნიჭით და ძლევით!..

* *
*

რაც ქვეყანა გაჩენილა,
უბედურნი ორჯელ ვიშვით:
ჯერ ღმერთმა გვშვა, მერმე ქრისტემ,
მაგრამ რისთვის? არ კი ვიცით.

ი. მჭედლიშვილი.

„სიყვარული“

სომხის ბურჟუაზიულ ინტელიგენციამ უკანასკნელ დროს მეტად „შეიყვარა“ საქართველო.

მუდამ დღე საქართველოს ბედზე ჰფიქრობს, ზრუნავს... მოქმედობს.

სცდილობს გონიერი დარიგება მისცეს, ჭკუა ასწავლოს და თუ ეს არ კმარა, მაშინ დაუყოვნებლივ, საუცხოვო ენერგიით, ერევა ქართველების საქმეებში და უსწორებს მათ წინსვლისა და სამართლის გზებსა.

მაგალითად, ხუცური წარწერები ქართულ ეკლესიებზედ სიმართლედ არ მიაჩნდა, სომხურად გადააკეთა იგი და თვით ზოგიერთი ქართული ეკლესიები სომხურად მონათლა და ჩაიბარა.

არც ის მიაჩნდა სამართლიანად, რომ საქართველოს დედა ქალაქებს ქართველები ჰპატრონობდნენ,

თბილისს, თელავს, სიღნაღს, ახალციხეს, ახალქალაქს (ეხლა გორზედაც ლაპარაკობენ) სომხებმა უნდა მოუპრონო! გაისმოდა მათი ბანაკიდამ

და გამოუცხადეს საშინელი ბრძოლა იმ „შოვინისტ ქართველებს“, რომელთაც არ სურდათ მათი „მოსიყვარულე“ პატრონობა ქართულ ქალაქებისა.

მაშინ იწყობოდა ერა „ქართველ-სომეხთა სოლიდარობისა“.

და ქართველები ყველა ქალაქებში დამარცხდნენ.

მებატონე სომხის ბურჟუაზია შეუდგა მაშინვე „წინსვლის გზების“ გაკაფვას.

მთელი ქართლ-კახეთის ბაზრები ხელში ჩაიგდო და დიდის „სიყვარულით“ უვლის მთელ მის სარჩო-საბადებელს, სურსათ-სანოვაგეს და უკარნახებს მათ თავის ცნობილ ფასებს.

მაგალითად, თუ სომხის ვაჭარი თბილისში ჰყიდის ფუთ კარტოფილს 70 კაპეიკად, ქართველ გლეხს ართმევს იმავე კარტოფილს ქალაქის ახლო „სიყვარულით“ 25 კაპეიკად.

ამ „სიყვარულ-პოლიტიკაში“ შედის სხვათა შორის ის ფაქტორიც, რომ ხსენებულ ქალაქებში სომხის ბურჟუაზია ქართველ მესაკუთრეებს მამულებს ფეხ ქვეშ ნელ-ნელა აძრობს, და თითონ ისაკუთრებს.

მიაქციეთ ყურადღება ქართულ მესაკუთრეობას ჩვენს ქალაქებში და ამ „პოლიტიკის“ შედეგები ნათლად წარმოგიდგებათ თვალწინ.

—

კიდევ მაგალითები ამ „სიყვარულისა“.

სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა არჩევნებია.

ქართლ-კახეთი ემზადება თავის დეპუტატის გასაგზავნად.

მავრამ ქართველთ ჭკუის დამრიგებელი სომხის ბურჟუაზია აძლევს ქართველობას ლოზუნგს: ან ხატისოვი, ან რუსთა სოციალისტურ პარტიის წევრი, კარლო ჩხეიძე; და დამცველად წინ გაიგდო „ქართველი მოლვაწე“ ივანე ჯაბადარი.

ჭკუაზედ არ მოდიხართ? მაშ მე გასწავლით! სთქვა სომხობამ და თავის 17 ხმით მოუღო ბოლო ქართლ-კახეთის დეპუტატს. მეორე დღეს ხატისოვი „სიყვარულის“ ცრემლებით სავსე თვალებს იწმენდს დიმიტრი ყიფიანის პანაშვიდზე.

ქართველ თავად-აზნაურობამ განიზრახა თავის ძალით და საშუალებით გაიყვანოს კახეთში რკინის გზა, რომ ამ გზას ქართველობამ მოუაროს, უპატრონოს და ისარგებლოს კიდეც.

იმწამსვე თბილისის სომხის ბირჟიდან გაისმა ხმა: არამც და არამც კახეთის რკინის გზა ქართველობას არ უნდა შერჩესო! და წინ გაიგდო „ყოველ მხრივი“ და გულუბრყვილო თავადი პ. თუმანიშვილი და ზოგიერთი ჩვენი დროის „ქართველი მოღვაწე“ ამ საქმის მოსაგვარებლად.

მართლაც, მათი მეოხებით, ტაგიანცევებმა, მანთაშოვებმა და სხვ. ჩაყლაპეს კახეთის რკინის გზა.

ან როგორც მიღებულია ეხლა: — „შეაერთეს“ სიღნაღ-ბაქოს გზასთან.

ან უფრო რომ გასაგები იყოს: „შეიერთეს“.

—

13 იანვარს 1913 წ. ქართველი თავად-აზნაურობა ირჩევს წინამძღოლს.

ეს იყო ერთად-ერთი საქმე, სადაც სომხის ბურჟუაზიის წინ კარები მაგრა ჩაკეტილი იყო.

მაგრამ ეხლა ქართველ-სომეხთა სოლიდარობის დროა!

კარები მათთვის აქაც გაიღო.

„ქართველო თავად-აზნაურებო! აირჩიეთ თ. პავლე თუმანიშვილი! ეს ერთად ერთი პატიოსანი, ნიჭიერი და გულწრფელი ქართველი საზოგადო მოღვაწე!“

დაჟინებით უმტკიცებს და მოითხოვს სომხის ბურჟუაზიის პრესა — „ბაკუ“, „ტიფლისკი ლისტოკი“, „ტიფლისკი ჟურნალი“ და სხვები.

და პავლე თუმანიშვილის წინამძღოლად არჩევა ქართველ თავად-აზნაურობისთვის აუცილებელია. ყოველ ისტორიას თავისი ლოგიკა მოსდევს და დაგვირგვინებას თხოულობს...

და ამ გვირგვინს უნდა წაეწეროს: „განუსვენე უფალო, სულსა მიცვალებულისა მონისა სომხის სიყვარულისასა...“

ეკალი.

კვირიდან — კვირამდე

ქართველი დეპუტატები და სათათბირო.

დეპ. გელოვანის პასუხი ჩხენკელის სიტყვაზე.

დეპუტატმა ჩხენკელმა სრულიად უადგილოდ დაიწყო ლაპარაკი სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან იმის შესახებ, რომ დეპუტატი გელოვანი გლეხ-კაცობის წარმომადგენელი არ არის. ამის საპასუხოდ დეპ. გელოვანს დაახლოვებით შემდეგი უთქვამს: „საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად საფუძვლიანი, სამართლიანი და რიგიანი იყო ასეთივე განცხადება ჩემი იდეური მოწინააღმდეგეებისა სატახტო ქალაქის გაზეთის „ფურცლებზე, — ორთავე მხარის თანხმობით, გადაეცა „სამედიატორო სასამართლოს. მოსამართლეები უკვე ავირჩიეთ. ამორჩეულ მოსამართლეთა უმაღლესი ავტორიტეტი უზრუნველ ჰყოფს მსჯავრის სამართლიანობას. ამ მსჯავრს ჩვენ უნდა დავემორჩილოთ. ამისდა მიუხედავად ამ შინაურ, ადგილობრივ პარტიულ დავის

გამოტანა სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნაზე, გადაქცევა უმაღლეს კათედრისა პარტიულ და პირად ანგარიშების გასასწორებელ კათედრად, მე მიმაჩნია ურიგობად, არა მირტო ჩემსა და იმ პარტიისადმი, რომელსაც მე ვეკუთვნი, არამედ არჩეულ სასამართლოსადმიც. ამიტომ პირადათ ჩემსა და ჩემი პარტიის სახელით პროტესტს ვაცხადებ ჩემი თანამემამულის ასეთი მოქმედების წინააღმდეგ".

მთელი სათათბირო, გარდა სოციალ-დემოკრატებისა, ამ პროტესტს ტაშის კვრით შეჰხვდა.

„სახ. გაზ."

უცნაური ხალხი ვართ ქართველები,—შინაური კინკლაობა ყველგან უნდა შევჩხიროთ, საცა კი ფეხს შევდგამთ. აბა რა საკადრისია ჩხენკელისაგან ასეთი უადგილო ადგილას პარტიული ღვარძლის შეტანა.

—

„სახ. გაზ." № 778-ში დაბეჭდილია წერილი რედაქციის მიმართ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრისა. ჩვენ მთლად მოგვყავს ეს წერილი:

„ბატონო რედაქტორო! გთხოვთ მოსთავსოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში შემდეგი:

გვირას, ჟურნალ „კლდის" მე-14-ე ნომერში ამოვიკითხე ერთი-ორი სიტყვა ქართ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების შესახებ. ეტყობა, ეს დაბარაკი გამოუწვევია „Закавказская рѣчь"-ის მე-281 და „თემის" მე-101 ნომერში მოთავსებულ წერილს, რომლითაც აცნობებენ მკითხველებს, რომ თ. პ. ი თუმანიშვილი იქმნა არჩეული საისტ. და საეთნ. საზოგადოების უკანასკნელ ჩვეულებრივ კრებაზე მზრუნველ წევრად და დრო კი ამ არჩევნებისა არ არის ნახსენები, რის გამოც „კლდის" თანამშრომელს უსარგებლია და არა სასურველი დასკვნა გამოუტანია. ვაუწყებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ქართ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ჩვეულებრივი კრება, რომელზეთ. პ. ი. თუმანიშვილი აირჩიეს საზოგადოების მზრუნველ წევრად, მოხდა უნკენისთვის 20-ს (იხილე ჩვეულ. კრების ოქმი № 63) და არავური კავშირი აქვს უკანასკნელ ხახებში აღებულ ამბებთან".

კრების დამსწრე წევრი

სონღულაშვილი

ბოდიშს ვიხდით პაციენტემულ ქარ. საეთნოგრაფიო საზოგადოების წინაშე, რომ მათს არჩევანს დემონასტრატიული ხასიათი მივაწერეთ, რადგან მართლაც „თემის" და „ზაკ. რეჩის" უდიერმა სიცრუემ შეგვიყვანა შეცდომაში. ვაი რა ადამიანთა ბრალი, რომლებიც თვალთმაქცობით ღა აპირებენ თავის მართლებას. ჯერ იყო და [illegible] ანტონის მოაწერინეს პ. თუმანიშვილის თანაგრძნობაზედ, ვითომ კახ. რკ. გზის შესახებ და გამოდგა, რომ მართლმადიდებელ ეკლესიის სამადლობელო იყო ფულის შეწირვისათვის; მერე განგებ დამალეს რიცხვი,—20 ენკენისთვე, რომ პ. თუმანიშვილის არჩევანისათვის მიეცათ ისეთი ხასიათი, ვითომ კახ. რკ. გზის შესახები არა საკადრისი საქციელი გაებათილებინათ. მაგრამ, როგორც წერილიდანა სჩანს, ეს მაშინ მოხდა, როცა კახ. რკ. გზის დაღუპვა თუმანიშვილისაგან არავინ იცოდა.

ამას ის სიცრუის გამომჟღავნებელი ცნობაც უნდა დაემატოს, რომ 20 ენკენისთვის შემდეგ კიდევ ჰქონია კრება ხსენებულ საზოგადოებას – 24-ს ღვინობისთვეს და, მაშასადამე არა **უკანასკნელი**.

გ. დიასამიძე ხშირად იმეორებს ხოლმე: ჩვენ მამები ვართ და თქვენ შვილებია;—კარგ რასმესაც ვისწავლით ამისთანა „მამებისაგან", თუ ავყევით და სიცრუით და თვალთმაქცობით საზოგადოება შეცდომაში შევიყვანეთ ხოლმე.

შეუცდომელი ღმერთიც არ არის, მაგრამ სიმართლის თქმა კი ჩვენ ხელთ არის.

ერთ დიდ კომერციულ საქმის გამო

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ამას წინად დაარსდა ტყის საექსპლოატაციო ამხანაგობა, რომელშიაც მრავლად შედიან ქართველები, მათ შორის ბ-ნი ხოშტარია და თავ. პ. თუმანიშვილი. ამ ამხანაგობას აზრადა აქვს ჩრდილოეთ სპარსეთის ტყეები აიღოს იჯარით და აწარმოვოს მათი ექსპლოატაცია. როგორც ნამდვილ წყაროებიდან შევიტყეთ, ამხანაგობის მიზანი მარტო საქმის კომერციულ მხრით არ განისაზღვრება და კონცესიას თავისი პოლიტიკური სარჩულიც ჰქონია. სხვათა შორის ხსენებულ კონცესიების მიზანია ხე-ტყისგან განთავისუფლებული ადგილები ნაჭრებად დაჭყონ და დაასახლონ შიდა რუსეთიდან გადმოსახლებულებით. თავდაპირველად, როდესაც კონცესიონერებმა თავიანთი აზრი მთავრობას წარუდგინეს, თანხმობა ვერ მიიღეს, რადგან უცხო ტერიტორიაზედ გადმოსახლების პოლიტიკის წარმოება, არც შესაძლებლად სცნო, არც სასარგებლოთ. მაგრამ, როგორც ბოლოს გამოირკვა, ადგილობრივი მთავრობა მაინც დეთანხმა ამ მოსაზრებას და მისცა კონცესიო-

ნერებს სრულ განკარგულებაში ცნობილი **კრიანინი**, გადმოსახლების კომიტეტის ჩინოვნიკი, რომელმაც უნდა მოაწყოს მომავალ გადმოსახლების საქმე.

თბილისის მომავალი პოლიტეხნიკუმი

თბილისის დელეგაციის ჩასვლამ ბაქოში თავისი კეთილი ნაყოფი გამოიღო. ნავთისა და მილიონერების ქალაქი გულუხვად დახვდა თბილისის წარმომადგენელთ და აღუთქვა ნივთიერი დახმარება მომავალ პოლიტეხნიკუმის მოწყობაში. ბაქოს ქალაქის თვითმმართველობამ დაადგინა ერთდროულად შესწიროს პოლიტეხნიკუმს 500,000 მანეთი. ნავთის მრეწველთა საბჭომ 400,000 აღუთქვა. ამას გარდა, რამდენიმე კერძო პირსაც აღუთქვამს თავისი დახმარება. საინტერესოა ის ციფრები, რომლებიც უზრუნველ ჰყოფენ მომავალ პოლიტეხნიკუმის აშენებას.

თბილისის თვითმმართველობამ პოლიტეხნიკუმს შესწირა 200 დესეტინა ადგილი. ამ მიწის განაღდებით და სხვა კერძო შემოწირულებით სდგება თანხა 1.700.000 მანეთი. ამას უნდა მიუმატოთ 900,000 მანეთი, რომელიც ეხლახან აღუთქვა ბაქომ და 200,000 მანეთი, რომელსაც იძლევა მთავრობა ადგილობრივ საერობო გადასახადთა თანხიდან. ამ რიგად პოლიტეხნიკუმს, თუ ზემო აღნიშნულ მიწის განაღდებას მივიღებთ მხედველობაში — 2.800,000 მანეთი აქვს. პოლიტეხნიკუმის აშენება, რომელიც გაზაფხულზედ დაიწყება, გამოანგარიშებულია 3.000,000 მანეთად. მაშასადამე სმეტის შევსებას კიდევ 200,000 მანეთი აკლია. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ დანარჩენ თანხასაც მალე გამოსძებნიან ის პირნი, ვინც უდგანან სათავეში ამ დიდ კულტურულ საქმეს, და რომლებმაც ასე კეთილად დააბოლოვეს ჩვენი ქვეყნის დიდი სურვილი — უმაღლეს სასწავლებლის დაარსებისა თბილისში.

მერძევეთა და მესაქონლეთა სადგურის დაარსება

19 ქრისტიშობისთვეს ქართულ სასოფლო-საშეურნეო საზოგადოების საბჭომ დაადასტურა მესაქონლეობის სექციის პროგრამა, რომელშიაც, სხვათა შორის, შედის კაიშაურის ველზედ მერძევეთა და მესაქონლეთა სადგურის დაარსება მომავალ 1913 წლის განმავლობაში.

მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“

ამ ორი თვის განმავლობაში საზოგადოების წევრებად ეწერება მრავალი კახეთის გლეხობა. ჩაწერა აქამდის კარდანახიდამ და სხვა სოფლებიდამ 30 კაცამდე. ღვინოებიც ბევრს ჩაუბარებია საზოგადოებისათვის.

ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ყოველთვის იმ აზრისანი ვიყავით, რომ კახეთის ღვინის გასაღება კაი ფასებში და მოპოვება მათთვის ახალ ბაზრებისა შეიძლება მარტო მაშინ, როცა კახელი მევენახეები ერთს ძლიერ კოოპერატიულ ამხანაგობას შეჰკრავენ, რომლის ძალით და მეოხებით წევრების ღვინოს გაუხსნიან კეთილს მომავალს და თვით წევრებს ზურგს გაუმაგრებენ და დაუხსნიან სარჩოს სირაჯ-ჩარჩების პატრონობისაგან.

საზოგადოება „კახეთის“ მოღვაწეობას ყოველთვის ერთი სუსტი მხარე ჰქონდა: არ ჰყავდა წევრები გლეხ მევენახეთა შორის და არც ზრუნავდა, მათ მიზიდვაზედ. გლეხთა მევენახეობა კი უფრო გაჭირებაში იყო ყოველთვის და მასთან ერთად გლეხთა ვენახებს დიდი ადგილი უჭირავთ კახეთში. საზოგადოებას მათი მიზიდვა წევრებად დიდს ძალას შეჰმატებდა ეკონომიურის და იდეურის მხრივ.

ამიტომ ის ფაქტი, რომ დღეს საზოგადოება „კახეთმა“ კარი ვაუღო კახელ გლეხობას და უკანასკნელნი ჯერ ნდობით ეკიდებიან და სიხარულით ეწერებიან ამ საზოგადოებაში — მეტად მნიშვნელოვანია. ეხლა ამას ენერგიულად უნდა შეუწყონ ხელი საზ. „კახეთის“ მესვეურებმა და აღმოუჩინონ თავისი კოოპერატიული დახმარება ყოველ კახეთის კუთხესა.

მაგრამ ამას უფრო დაწვრილებით შევეხებით მოკლე მომავალში.

კოოპერატორი.

პატრიარქობის აღდგენა რუსეთში.

12 ქრისტიშობისთვეს, მიტროპოლიტ ფლავიანეს (ყოფილი ექსარხოსი საქართველოსი) თავმჯდომარეობით, მოხდა წინასწარ საეკლესიო კრების სხდომა, რომელზედაც განხილული იყო რეფორმის ის მუხლი, რომელიც ეხება პატრიარქის უფლებას და მდგომარეობას.

ეს მუხლი ასე იწყობა: „თავმჯდომარედ უწმიდესის სინოდისა ითვლება პატრიარქი სრულიად რუსეთისა, რომელსაც მინიჭებული აქვს ტიტული მათის უწმიდესობისა მოსკოვის მიტროპოლიტისა და სრულიად რუსეთის პატრიარქისა“.

ნაწილი კრებისა თანახმა იყო პროექტისა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ პატრიარქს ბინა მოსკოვში ჰქონოდა. მეორე ნაწილი მომხრე იყო პატრიარქის პეტერბურგის ჩინადრობისა.

გამოირკვა შემდეგი უფლებანი მომავალ პატრიარქისა. პატრიარქი თავმჯდომარეობს სინოდში და განაგებს თათბირის წეს-რიგს. მას ექვემდებარებიან სინოდის ყველა მაშველი დაწესებულებანი. პირადათ ნახულობს ხელმწიფე იმპერატორს და მოახსენებს საეკლესიო საქმეთა ვითარებას. პატრიარქი ექვემდებარება საეკლესიო კრების სასამართლოს. თუ პატრიარქი დაარღვევს თავის მოვალეობას, ან გადააკილებს თავის უფლებას, მაშინ სამი უხუცესი წევრი სინოდისა მოწიწებით აგონებენ ამას. თუ ასე საქმე კეთილად არ დაგვირგვინდა, მაშინ განიხილავს სინოდი, რომელიც მოისმენს რა პატრიარქის განმარტებას, იმისდა მიხედვით, თუ რა ბრალს სდებენ მას, ან საეკლესიო კრების სამართალში მისცემენ, ან დაითხოვენ დასასვენებლად.

საზავო კონფერენცია

საზავო კონფერენციის სხდომაზედ ოსმალეთის რწმუნებულმა რეშიდ-ფაშამ შემდეგი კონტრ-წინადადება წაიკითხა:

პირველი. ადრიანოპოლი თავის ვილაიეტით რჩება ოსმალეთის ხელში, ოსმალურ მართვა-გამგეობით.

მეორე. ოსმალეთი აარსებს მაკედონიის ავტონომიას, რომელსაც სათავეში ედგება ბრიტანეტულ სარწმუნოების ადმსარებელი ერთ-ერთი ევროპიელი ბრინცი, ამორჩეული ბალკანეთის სახელმწიფოთა კავშირისაგან. ავტონომიური მაკედონია იქმნება სოფიის სუფერენიტეტის ქვეშ, ექმნება თავისი პარლამენტი და სატახტო ქალაქი—სალონიკი.

მესამე. ოსმალეთი აარსებს ალბანიის ავტონომიას, რომელსაც სათავეში ედგება ოსმანთა ოჯახის ბრინცი, არჩეული ხუთი წლით. ალბანიასაც ექმნება აგრეთვე თავისი პარლამენტი.

მეოთხე. კუნძულ კრიტის საკითხი არ ექვემდებარება კონფერენციას, რადგან ეს კუნძული იმყოფება ოთხ სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ.

მეხუთე. კუნძულები არ დაუთმობა არავის, რადგან იგინი არ შედიან ევროპის ოსმალეთში და ეკუთვნიან ანატოლიას.

პირველად პასუხი გასცა ბულგარელმა დანევმა.

— ამ ნიადაგზედ მოლაპარაკების გაგრძელება შეუძლებელია. ამაზედ ლაპარაკი შეიძლებოდა 5*) ლვინობისთვემდე. ეხლა კამათია არა იურიდიულ ფორმებზედ, არამედ ტერიტორიის გაფართოებაზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორედ ილაპარაკა სერბიელმა ნოვაკოვიჩმა.

— თვით განცხადებაც კი ასეთის ფორმით გაუგებარია. რა არის მაკედონია? აქამდის ამბობდნენ: სალონიკის ვილაიეტი, კოსოვოს ვილაიეტი და სხვ. თვით სიტყვა „მაკედონია“ ოსმალეთში აკრძალული იყო. მაკედონია არსებობდა 2000 წლის წინად. ასევე უარჰყოფდა ოსმალეთი თვით სიტყვა „ალბანიას“. მაშ რა არის ალბანია?

თვისი სიტყვა ნოვაკოვიჩმა ასე დაათავა:

— ამ ნიადაგზედ მოლაპარაკების გაგრძელება შეუძლებელია. ასევე განაცხადა ბერძენმა ვენიზელოსმა და ჩერნოგორელმა მიუშკოვიჩმა. ამის შემდეგ კრება შესწყდა, და დელეგატები ოსმალეთის წინადადების გადასაწერად დაიშალნენ. კრების განახლების შემდეგ, რეშიდ-ფაშამ მიმართა დელეგატებს, არ შეეწყვიტათ მოლაპარაკება, ვიდრე მოკავშირეთა პასუხს პორტას არ აუწყებდა. დელეგატები დასთანხმდნენ ამ წინადადებას და კრება შემდეგისათის გადასდეს.

ს. გურჯაანის წვრილი კრედიტი

ნ ქრისტიშ. შესდგა საერთო კრება ადგილობრივ წვრილი კრედიტის ამხანაგობისა, რომელსაც ამ ჟამად 405 წევრი ჰყავს. კრებას დაესწრო ნახევარი რიცხვი; თითქმის ერთხმად გადასწყდა, არსებულ წვრილი კრედიტის ამხანაგობა გადაკეთდეს შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობად, 10 მან. საწევრო პაით. რასაკვირველია, ვისაც ძალა არ შესწევს ერთბაშად გადაიხადოს ეს 10 მანეთი, იმას ნება ეძლევა ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს. სასურველია, რომ სხვა ამხანაგობათაც მიჰბაძონ გურჯაანისას, რადგანაც შემნახველ-გამსესხებელი დაწესებულება საძირკველს უყრის იმ მოთხოვნილებას, რომ რაც შეიძლება მალე მიეჩვიოს სოფლის ხალხი საწევრო პაისთან ერთად, ამ სოფლის ბანკშივე შესანახ ფულის მოთავსებას, ვისაც აქვს გადარჩენილი. ამ აზრის დასაბუთება მეტად მიმაჩნია, რადგანაც ადგილობრივ ფოსტის განყოფილების სახელმწიფო შესანახი

---

*) დღე ომის გამოცხადებისა.

კასა ამტკიცებს, რომ სოფლად ხალხს „მაინც“ აქვს ფული შენახული ამ კასაში, საიდგანაც სარგებელს მხოლოთ $3^1/_2{}^0/_0$ აძლევენ; მეორეც— ადგილობრივი თანხა ამ სოფლის ბანკს ძლიერ გააღონიერებს და ფულის პატრონთაც $7^0/_0$ მიეცემათ. (ეხლანდელმა საერთო კრებამ ეგრე დაადგინა). ამავე კრებაზედ გადასწყდა, რომ მომავალ წლის გაზაფხულიდგან ამხანაგობამ დაიწყოს საშუამავლო „ოპერაციები“; ჯერ-ჯეროობით გამოიწერს ამხანაგთათვის საჭირო საწამლ მასალას ვენახისათვი ს შაბიამანს, გოგირდს, ვერმორელის აპარატებს, გოგირდის საფრქვევს და მათვულს.

— 13 ქრისტეშ. ამავე ამხანაგობას ეწვია (incognito) მოულოდნელად პეტრეს ქალაქიდგან „დიდი“ რევიზორი, თუ არ ვსცდებით, ბ. ვასილიევი წვრილი კრედიტის ინსპექტორის ვიფორსის თანხლებით. ეს „მალალი“ მეთვალყურე ძლიერ კმაყოფილი დარჩა ამხანაგობის ვითარებით და საქმის წარმოებით და აღუთქვა ამხანაგობას მომავალ წლიდგან 500 თუმანის მომატება გრძელვადიანი სესხისა და 1,500 თუმანიც მოკლე ვადიანისა. აქამდის ჰქონდა—გრძელვადიანი-200 თუმანი და მოკლე ვადიანიც 1,000 თუმანი; ისე რომ ამ რევიზიით ამხანაგობამაც მოულოდნელად შეიმატა.

ვიფორსმა ნება დართო, რომ საანგარიშო წიგნები და ხელწერილის ბარათები, სანახევროდ **რუსულ-ქართულად** იყოს დაბეჭდილი მომავალ წლიდგან, „რომ ამით საშუალება მისცეთ ამხანაგებს ისარგებლონ თავიანთ ენითო“. წინადადება მისცა ადგილობრივ მღვდლებს, რომ მათ საეკლესიო თანხა შეინახონ ხოლმე ამ სოფლის ბანკში და იმათაც აღუთქვეს თანხმობა. გამგეობას ურჩია, რომ სოფელს განაჩენი დაადგენინოს, რათა მომავლიდგან „ობოლთა ფული“ (сиротскія деньги) ინახებოდეს ამავე ბანკში. უნდა კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ ეს ბიუროკრატი ძლიერ გულმტკივნეულად მოეპყრო ყოველ აღძრულ საჭირო საკითხს ამ ბანკის შესახებ. ზოგი ამისთანა „ზევიდგან“ გახალისებით, ზოგიც ადგილობრივ მწიგნობართა მხნეობით და იმედი უნდა ვიქონიოთ ამ საქმის წინსვლისა ხალხის საკეთილდღეოდ.

ძევერელი.

„ფილოქსერა და მასთან ბრძოლა“

(სოდომან მ. ჩოდაუაშვილის წიგნი. გამოცემა დ. ე. ჩოდაჩაშვილისა)

მევენახეობა საქართველოში შეადგენს ერთ-ერთ „მალალი კულტურის“ დარგს მეურნეობისას და ერის ეკონომიურ კეთილდღეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. როგორც შემოსავლიანი კულტურა,—იგი ფასსა სდებს ადამიანის მუშაობას და ერთიათად უნაზღაურებს გაწეულ ხარჯს. მაგრამ, როგორც ყოველს კულტურულ მცენარეს, ვაზსაც აზრიანი მოვლა სჭირია, და მამა-პაპურ საშუალებათა შეცვლა მეცნიერულ საშუალებით, საცა მეცნიერებამ უკვე დაამტკიცა ძველ ჩვეულებათა უვარგისობა.

უკანასკნელ ოციოდ წელიწადს ჩვენშიაც შეიგნეს დიდი განსხვავება მეცნიერულად და შინაურულად მოვლის შედეგებისა. კახეთში და იმერეთში ბევრს შეხვდებით საუკეთესო პლანტაჟით შემუშავებულ ვენახს. მაგრამ ადამიანის შრომას ყოველთვის რამე ჭირი აედევნება და აი, ჩვენშიაც იჩინა თავი სასტიკმა მტერმა ვაზისამ—გამანადგურებელმა

ურთოსანი ფილოქსერა გადიდებული 50-ჯერ.

ფილოქსერამ. ამ პაწია მტერმა ამოაგდო საფრანგეთის მევენახეობა, გადაფრინდა ევროპის ყველა სხვა კუთხეებშიაც და ყველგან დიდი ზარალი მოუტანა მცხოვრებთ. გადავიდა რუსეთშიც და ჩვენშიაც შემოიპარა.

ფილოქსერა ისეთი საშინელი სენია, რომელსაც შეუძლია 10—15 წლის განმავლობაში სულ მოსპოს მევენახეობა საუკეთესო რაიონებში, თუ ადამიანმა დროზედ არა იღონა რა. დიდი სიფრთხილე და დაკვირვება ჰმართებთ ჩვენს მევენახეებს და ამ შემთხვევისათვის დაუფასებელ სარგებლობას მოუტანს ახლად გამოცემული წიგნი თავ. ს. მ. ჩოლოყაშვილისა. ამ წიგნში მოკლედ, მკაფიოდ და უბრალოდ გადმოცემულია პატარა ისტორიული მიმოხილვა, ენტომოლოგიური ვითარება ფილოქსერისა და დიდი ყურადღებაა მიქცეული განსაკუთრებით იმ საშუალებებზედ, რომლითაც ებრძვის ადამიანი ამ სასტიკ მტერს.



ა ბ

(ა) დედალი ფილოქსერა და (ბ) მამალი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს წიგნი ფრიად საგულისხმოა ყველა მეურნესათვის. დაწერილია ყველასათვის გასაგების, კარგის ენით და შეიცავს თითქმის ყველაფერს, რაც კი ფილოქსერასთან საბრძოლველად არის საჭირო.

ავტორს, როგორც ეტყობა, ბევრი უშრომნია, რომ ეს სახელმძღვანელო არა ყოფილიყო განსაკუთრებით თეორიული, არამედ პრაქტიკულ ცხოვრებასთან დაახლოვებული და, რაც უფრო ძვირფასია ჩვენთვის, ყველგან სცდილობს დაანახვოს მკითხველს, თუ როგორ უნდა გამოიყენებოდეს ესა-თუ ის საშუალება ჩვენს, ადგილობრივ პირობებში; ამ მხრივ, რასაკვირველია, ხელს უშლის ის გარემოება, რომ ჩვენი სამშობლო სრულებით არ არის შესწავლილი მეცნიერულად, არც ჰავის, არც ნიადაგის, არც ნაცადის მხრივ, მაგრამ მაინც ბევრს საყურადღებო ცნობებს გვაძლევს ავტორი.

წიგნი გამოცემულია კარკად. გაყოფილი პატარა თავებად თავისი სათაურებით, რაც ძალიან აადვილებს პირდაპირ პრაქტიკულ ცნობების ამოკრებას.

ჩვენი ნიადაგის და ჰავის მიხედვით, ყურადღებაა მიქცეული უფრო ვაზის ჯიშებზედ, როგორც ამერიკისა, ევროპისა, ისე ადგილობრივზედ; მათს ულლილებზედ (გიბრიდები) და შთამომავლობაზედ.



ამერიკული ჯიშის ვაზის ფოთელი დიდ-ფოთლიანი „რიპარია (Riparia Glaire de Montperier)

და ეს ასეც უნდა იყვეს, რადგან ყველა სხვა საბრძოლველი საშუალება ფილოქსერასთან, ძვირი



ფილოქსერისაგან დაზიანებული ფესვები გასიებულნი გბენისაგან

და ცოტა ნაყოფიერია, როგორც მკითხველიც დაინახავს ხსენებული წიგნიდგან.

ჩარეული სურათები უფრო ნათელ ჰყოფენ ავტორის ყოველ აზრსა და ყველასათვის გასაგებად ხსნიან როგორც ფილოქსერის მავნებლობას, ისე მასთან საბრძოლველ საშუალებათა სარგებლობას.

ჩვენი სურათები ამოღებულია ამ წიგნიდან.

საუბედუროდ, მეტად მცირე რიცხვია გამოცემული: სულ 1000 ცალი და ყველას ვერ მისწვდება. ეს წიგნი დიდი განძია ჩვენი ღარიბი სამეურნეო ლიტერატურისთვის და სასურველია, სხვა დარგებსაც მიაქციოს ყურადღება ს. ჩოლაყაშვილმა, როგორც მცოდნე და გამოცდილმა პირმა.

მეურნე.

უკრაინის ცხოვრებიდან

—

თუმცა უკრაინაც რუსეთის იმპერიის ერთი იმისთანა დაჩაგრული მხარეა, როგორც ჩვენი საქართველო, მაგრამ იგი ამ ბოლო დროს მეტს ენერგიასა და ეროვნული ცხოვრების აღორძინებისადმი მისწრაფებას იჩენს. მუდამ დევნილი, მუდამ ოთხივ მხარეს მებრძოლი, თითმის მუდამ სხვის მფლობელობის ქვეშ მყოფი, იგი განიცდიდა ყოველთვის მეტს დარბევა-დაჩაგვრას, და ეხლაც მომეტებულად აღიან შევიწროებულნი. მაგრამ უკრაინელები გულს არ იტეხენ და სცდილობენ მოიპოვონ მეტი თავისუფლება ერის კულტურული განვითარებისა, და ამაში უნდათ თვით ევროპის აზრი და საზოგადოებაც დაიხმარონ. ამ აზრით ლონდონის კლუბში „Nobodies“ ჯორჯ რაფალოვიჩმა ინგლისთვის ნახევარში წაიკითხა ლექცია თანამედროვე უკრაინის შესახებ. მოკლე გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიული ცნობების შემდეგ, ლექტორმა მოკლედვე დაახასიათა უკრაინის ლიტერატურა და მუსიკა, რის შემდეგაც გადავიდა მისს პოლიტიკურ მდგომარეობაზედ. ლექციას დაესწრო სულ 150 კაცი, მაგრამ აქ იყვნენ ლონდონის გაზეთების უმრავლესობის წარმომადგენელნი, რის გამოც მეორე დღეს ლექციის შინაარსი და შენიშვნები თითქმის ყველა გაზეთმა მოათავსა, რაც ასე იშვიათია ხოლმე. ლექტორის აზრით, უკრაინელი ერის აღორძინება ისეთს პრობლემას უყენებს ევროპას, რომელიც თვისი სიდიადით დაჩფარავს თითქმის ყველა სხვა საკითხებს, რომლებიც აქამდის აღელვებდნენ ევროპის საზოგადოებას. ლექციის ბოლოს ჯორჯ რაფალოვიჩმა წინადადება მისცა და სთხოვა აუდიტორიას, რომ მათ იმოქმედონ ინგლისის საზოგადოების აზრზედ, რომ ამ უკანასკნელმა თავის მხრივ გავლენა იქონიოს რუსეთზედ, რომ მისმა მთავრობამ იმავე თვალსაზრისით განაბჭოს არასახელმწიფოერთა ბედი, როგორც ამას უცქერის და მისდევს თვით ინგლისი თავის საშფლობელოში.

— —

ეკატერინოსლავში, მუშათა კურიიდგან არჩეულ მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად, პეტროვსკისთან მივიდნენ მუშა-უკრაინელები და გადასცეს ნაკაზი, რომლითაც იმას ევალება იბრძოლოს უკრაინული ენის ხმარებისთვის სკოლებსა, სასამართლოსა და ადმინისტრატიულ დაწესებულებებში უკრაინის ტერიტორიაზედ; იბრძოლოს ამასთანავე ყოველი რეპრესიული ზომების წინააღმდეგ, რომლებიც კი მიმართული იქნება უკრაინელების წინააღმდეგ. დეპუტატმა მიიღო ნაკაზი, მადლობა გადუხადა ნდობისთვის და პირობა მისცა, ამით ვიხელმძღვანელებ ჩემს მოღვაწეობაშიო. ამასთანავე სთხოვა — უკრაინელების დევნის შესახებ მასალები მიაწოდონ ხოლმე.

— —

ლვოვის უნივერსიტეტში ლექციებს უკრაინული ენის შესახებ კითხულობს პროფესორი ი. კოკურუძე; Кокурудзъ — როგორც ეხლა ის იწერება. ვინ იცის, როდის და საიდგან გადახვეწილი, ასე შეჭთვისებია უკრაინულ ენას.

გ. ნამორაძე.

საუცხოვო ქვეყნები

რა გვარი ქვეყანა არ მოიძებნება დედა მიწის ზურგზედ;

მაგალითად, უსაპყრობილო ქვეყანა

არ გეგონოთ, რომ ეს ამბავი გამოგონილი იყოს, ამ ქვეყანას ჭკვიან ისლანდია, რომელიც ერთ-ერთ დიდ კუნძულს წარმოადგენს დასავლეთ ევროპის ნაპირების ახლო.

ამ კუნძულზე სცხოვრობენ — მეზღვაურები და მეთევზეები. ისლანდიის ხალხი ცნობილია სამაგალითო პატიოსნებით, მათ არ იციან რა არის ბოლიტიკა ან საუბრობილ და არც უნახავთ ისინი. რამდენიმე ათი წლის წინად კუნძულზედ მოხდა დიდი უბედურება: ერთმა შეძლებულ-

ბა მცხოვრებმა—ინდიელებმა თავის მეზობელს ცხვარი მოჭმარა; ეს ამბავი გაიგეს სხვა მცხოვრებლებმა, ქურდი დაიჭირეს, მიუსაჯეს მობარულ ცხვრის ოასის გადახდა და სამუდამოდ განდევნეს სამშობლოდან.

ქვეყანა, საცა სასმელის დუქნები არ არის

ამერიკის რამდენიმე შტატის მცხოვრებთ გადასწყვიტეს მოსპონ თავის მხარეში სპირტის სასმელი დუქნები მას შემდეგ, რაც შეატყეს ხალხის დაჩაგვრა და სიღარიბე. დოთობას ებრძვიან არა მარტო კურძო პირნი, არამედ სხვა და სხვა საზოგადოებანი, სამღვდელოება და ბოლიციაც. ერთის მხრით, ამრავლებენ სოფლის აგრონომებს, ინსტრუქტორებს, მეორე მხრივ, აუკრძალეს გაჭრებს სპირტის სასმელების გასეიდვა. ყოველს ამერიკელს შეუძლიან გამოიწეროს ხაიდამაც სურს სასმელი არაყი, ღვინო, ლუდი და სხვა; შეუძლიან თითონ დალიოს და სტუმრებსაც გაუმასპინძლდეს, მაგრამ გაეიდვა კი არ შეუძლიან. ამიტომ, თუ ამერიკელს ცოტა სასმელი რგიანის გზით მოსდის—მის გამოტანას არაყინ უკრძალავს. მაგრამ თუ გამოგზავნილი სასმელი ბევრია, მაშინ სარკინისგზო აგენტი აუცილებლივ ატყობინებს ბოლიციას, რომელიც ამ „ამანათს“ იპყრობს და სპობს.

ხსენებულ ზომების შედეგებიც მოაქვს: დოთობა ამერიკაში, სიდანაც ჩვენ გადმოვიღეთ ბევრი კარგი საქმეები—ტელეგრაფი, ტელეფონი, სამეურნეო იარაღი და სხვა—ისპობა კიდეც და მის მაგიერ ეხლა გონიერი გასართობები შეუფობენ.

ლოთობის ქვეყანა

ოფიციალურ ცნობებით, რუსეთის დოთობა გამოიხატება შემდეგ ციფრებში:

1910 წელს რუსეთს დაულევია 89.500,000 ვედრო არაყი.

1911 — — — 91.600,000 ვ.

1912 წ. (დაახლოებით)— 100.000,000! —

ამას, ვფიქრობთ, აგრონომებიც ძნელად უშველიან!

ნარევი

ადამიანის სიცოცხლე. გაზ. „Italie“-ს მოუგროვებია მრავალი სტატისტიკური ცნობები ადამიანის სიცოცხლის შესახებ. გამოირკვა რომ, ყველაზე დიდხანს სცოცხლობენ მღვდლები, მათ შემდეგ—სოფლელი ხალხი, მერმე ვაჭრები, ხელოსნები ჩინოვნიკები, ათეტრები, ადვოკატები, მსახიობნი, მეცნიერნი და... ექიმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურიოზული სტატისტიკა. დედამიწის ზურგზედ მოცლილი ხალხი ხომ ბლომად დაიარება და ი, ერთი მათგანი, ფრანგი, კურიოზულ გამოკვლევას შეუდგა. რამდენი თმა არის ადამიანის თავზედ? აღმოჩნდა რომ, საშუალოდ ადამიანის თავზედ 127,920 ბეწვია. მაგრამ თმის სისქე სხვა და სხვა აღმოჩნდა: ყველაზედ წვრილი ყოფილა მოთეთრო თმა, მსხვილი—„რიჟა“ თმა. ამ რიგად მოთეთრო თმის ბატონის თავზედ ითვლება 143.006. შავი თმის 105.000 და საწყალ „რიჟა“ თავებს მარტო 29.200 ბეწვი ასხია!

ავტორიტეტი. ორი განათლებული კაცი კამათობდა ახალ გამოცემულ წიგნის დირსებაზედ. ბოლოს ერთმა მათგანმა, ლიტერატორმა, უთხრა მეორეს: „კაცო რიგორ უნდა დაეთესო რომელიმე წიგნის დირსება, როცა შენ თითონ არც ერთი წიგნი არ დაგიწერია?“

„ეს მართალია“—უპასუხა მაკამათემ, „მე ჩემ სიცოცხლეში არც ერთი კვერცხი არ დამიდვია, მაგრამ ერბოკვერცხის გემოს დაფასებას უფრო მოვახერხებ, ვიდრე რომელიც გინდა საუკეთესო ქათამი.

ქართველთა შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება „ახალი გზეთში“ აცხადებს, რომ მის წიგნის მაღაზიაში ისეიდება საუმაწვილო წიგნები: Яфетическіе элементы въ языкахъ Арменіи 15 კ. Грузинскія приписки греческаго Евангелія изъ Коридіи—20 კ. О армянской илюстрированной рукописи изъ халкедонисткой среды—10 კ, და სხვა ამ გვარი. ბატიეცემულ საზოგადოებას უნდა აღენიშნა მაინც, რომ ეს გამოცემანი მცირე წლოვანთათვისაა...

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

მოითხოვეთ ყველგან

კოოპერატიული ღვინო

საზოგადოება „კახეთი“-სა



ეზო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდია 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენთში. ბათომში, მოსკოვში, არმავირში, ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა“: ღვინის გადაღებ-გადმოღება

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“

ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ „ᲙᲐᲮᲔᲗᲘ“ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ 1894 ᲬᲔᲚᲡ. ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ 164 ᲬᲔᲕᲠᲘ. „ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ“ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡ ᲐᲥᲕᲗ 866½ ᲓᲔᲡᲔᲢᲘᲜᲐ ᲕᲔᲜᲐᲮᲘ, ᲡᲐᲘᲓᲐᲛᲐᲪ ᲣᲖᲘᲓᲐᲕᲔᲜ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ **ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲙᲐᲮᲣᲠ ᲦᲕᲘᲜᲝᲡ!**

ᲫᲐᲚᲐ ᲔᲠᲗᲝᲑᲐᲨᲘᲐ!

ᲙᲐᲮᲔᲚᲔᲑᲝ! ᲩᲐᲬᲔᲠᲔᲗ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲐᲓ და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლო „საზოგადოების“ გაფართოვება—გაძლიერება, მისი წევრების გაძლიერების და გამდიდრების მომასწავებელია.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲓᲠᲝᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ ᲛᲝᲬᲔᲡᲠᲘ�გᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲙᲛᲘᲓᲠᲐᲓ ᲓᲐᲥᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ.

ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲗ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲐ.

ისა სტამბაერიძისაბ ᲐᲘ ᲕᲔ .სმ ᲚᲛᲓᲔ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲑᲔᲭᲝᲠ,ᲕᲘᲡᲥᲣᲩᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ № Ჩ.

სამეცნიერო-შედგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

„განათლება“

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

1913 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გაჩნდა ყოველთვის შუა რიცხვებში კარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, რომელნიც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა კაზმულ მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის უფლა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უფრო დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

ასეთრიდან ჟურნალში იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაიბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

წლიურ-თვისი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი** (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ **სამ მანეთად**, საზღ. გარ. 6 მან. ვინც წლიურ თვეს ჟურნალისას ანყრის ბოლოდის გადაიხდის, სახელრად მიიღებს განსვენებულის ანკიბ გოგებაშვილის მოზრდილ სურათს.

ხელის მოწერა **თბილისში**: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან. ქუთაისში** ასლიდრე ეკატერინეს. **ბათომში**—წიგნის მაღაზია „განთიადი“. ამ ორ ადგილას აუდება ბოლოს ნომრებიც, თითო 40 კაპ.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვ. ჟურნალი

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназія **Л. Г. Боцвадзе.**

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

მიიღება ხელის მოწერა 1913 წ.

ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულზე“

წელიწადი მეცხრე

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივ პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ორი გამოცემა:

მცირე ფლოვანთათვის 24 ფიგნი
მოზრდილთათვის. . . 12 ფიგნი

ეღირება წლიურად 5 მან., ნახევარ წლით 3 მან., ცალ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მან., საზღვარ გარეგ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ საჩუქარს.

ხელის მოწერა მიიღება **თბილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტი, 8.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

გამომცემელი თავ. პ. ი. თუმანიშვილი.

Открыта подписка на 1913 годъ

на политическую, общественную и литературную ежедневную газету

„ЗАКАВКАЗЬЕ“

Безпартійно-прогрессивный демократическій органъ, обслуживающій интересы Закавказскаго края, безъ различія націоналистей.

(Восьмой годъ изданія)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

Съ доставкой въ городѣ Тифлисѣ:

12 м. 5 руб., 11 м. 4 р. 70 к., 10 м. 4 р. 40 к., 9 м. 4 р. 10 к., 8 м. 3 р. 80 к., 7 м. 3 р. 40., 6 м. 3р., 5 м. 2 р. 60 к., 4 м. 2 р. 20 к., 3 м. 1 р. 75 к., 2 м. 1 р. 35 к., 1 м. 75 к.

Съ пересылкой для иногороднихъ

7 р., 6 р. 50 к., 6 р., 5 р. 50 к. 5 р., 4 р. 50 к., 4 р., 3 р. 50 к., 2 р. 80 к., 2 р. 10 к. 1 р. 40 к., 75 к.,

Заграницу вдвое больше городской

Для годовыхъ подписчиковъ допускается РАЗСРОЧКА по 1 р. въ мѣсяцъ.

Подписка принимается только съ перваго числа каждаго мѣсяца и не далѣе, какъ до конца года, въ конторѣ редакціи на Дворцовой улицѣ, въ домѣ Грузинскаго Дворянства (входъ со двора грузинскаго театра)

Телефонъ № 917.

ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ:

Для Закавказья на мѣсто, занимаемой строкой петита: впереди текста 15 коп., позади текста 10 коп., посреди текста 50 коп. Стороннее сообщеніе 15 коп. зрѣлища и увеселенія 20 коп.

За многократныя объявленія скидка.

Объявленія о спросѣ и предложеніи труда, объ отдачѣ квартиръ, наймѣ прислуги и т. д. на 4 стр.—25 к. каждое. Траурное объявленіе—4 руб.

Объявленіе внѣ предѣловъ Кавказа принимаются исключительно въ центральной конторѣ торговаго дома Л. Э. Метцль и К. въ Москвѣ, Мясницкая д. Сытона, въ отдѣленіяхъ въ гор. С.-Петербургѣ—большая Морская. № 11, въ Варшавѣ—Маршалковская, № 130, по 24 к. передъ текстомъ и 12 коп. послѣ текста.